



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დამატებითი (minor) პროგრამა

პოლიტოლოგია

1. პროგრამის ტრუქტურა

№	კურსი	სკ	ლ./პრ./ს/ლ აბ.	კრედი- ტა რაოდენ ობა	სემესტრები						
					III	IV	V	VI	VII	VII I	
1	პოლიტიკური აზროვნების განვითარების ძირითადი ეტაპები	3	2.1.0.0	5	5						
2	პოლიტიკური იდეოლოგია	3	2.1.0.0	5	5						
3	პოლიტიკური ლიდერი და პოლიტიკური ელიტების თეორია	3	2.1.0.0	5		5					
4	პოლიტიკური კონფლიქტები და მათი ტიპოლოგია	3	2.1.0.0	5			5				
5	გეოპოლიტიკური თეორიები და კონცეფციები	3	2.1.0.0	5		5					
6	საერთაშორისო ორგანიზაციები	3	2.1.0.0	5			5				
7	ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორია	3	2.1.0.0	5				5			
8	პოლიტიკური კულტურა	3	2.1.0.0	5					5		
9	მედია და პოლიტიკა	3	2.1.0.0	5				5			
10	რეგიონალიზმი და ადგილობრივი თვითმმართველობა	3	2.1.0.0	5					5		
11	ევროპული ინტეგრაცია	3	2.1.0.0	5							5
12	თანამედროვე მსოფლიოს გლობალური პრობლემების პოლიტიკური ასპექტები	3	2.1.0.0	5							5
სულ				60	10	10	10	10	10	10	10

გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება: სკ - საათი კვირაში; ლ/პ/ს/ლაბ. - ლექცია/პრაქტიკული/სემინარი/ლაბორატორიული.

2. პროგრამით გათვალისწინებული კურსების მოკლე ანოტაციები.

კურსის კოდი: SWB0640

პოლიტიკური აზროვნების განვითარების ძირითადი ეტაპები; (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: პოლიტიკური შეხედულებების წარმოშობა ძვ. აღმოსავლეთში; პოლიტიკური აზრის განვითარება შუა საუკუნეებსა და აღორძინების ეპოქაში; ფ. ნიცშესა და მ. ვებერის პოლიტიკური შეხედულებები; დასავლეთის თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერების წარმოშობის თავისებურებები და ძირითადი მიმართულებები. კანტის, ჰეგელის, ნიცშეს პოლიტიკური ფილოსოფია, პოლიტიკური ანარქიზმი, პრუდონი, ბაკუნინი და ვებერის პოლიტიკური სოციოლოგია; მოსკას, პარეტოს და მიხელსის პოლიტიკური შეხედულებები.

კურსის კოდი: SWB0650

პოლიტიკური იდეოლოგიები. (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ლიბერალიზმის წარმოშობა და განვითარება. ლიბერალური სახელმწიფო, ლიბერალიზმი, მართველობათა დემოკრატია, კლასიკური ლიბერალიზმი, თანამედროვე ლიბერალიზმი და ლიბერალიზმი 21-ეს საუკუნეში. კონსერვატიზმის წარმოშობა და განვითარება, ავტორიტარული კონსერვატიზმი; პატერნალისტური კონსერვატიზმი, კონსერვატიზმი 21-ე საუკუნეში. ანარქიზმის წარმოშობა და განვითარება; კოლექტივისტური ანარქიზმი, ინდივიდუალისტური ანარქიზმი, ანარქიზმი 21-ეს საუკუნეში. ფაშიზმის წარმოშობა და განვითარება, ფაშიზმი და სახელმწიფო. ნაცისტური, რასობრივი თეორიები და ფაშიზმი 21-ეს საუკუნეში.

კურსის კოდი: SWB0660

პოლიტიკური ლიდერი და პოლიტიკური ელიტის თეორია. (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: პოლიტიკური ლიდერის ცნება და წარმოშობის კონცეფციები; პოლიტიკური ლიდერობის მაქსველერისეული ტიპოლოგია, სტილი და ფუნქციები; პოლიტიკური ლიდერობის ფენომენის ინტერპრეტაცია პოლიტიკურ აზროვნებაში, პოლიტიკური ლიდერობა გარდამავალ პერიოდში, პოლიტიკური ელიტის კლასიკური თეორიები და ტიპები, პარეტოს, მიხელსის, ჩარლზ რაით მილსის მეცნიერული პარადიგმები ელიტის თეორიებზე, პოლიტიკური ელიტის პერპეტუაცია და ალტერნაცია.

კურსის კოდი: SWB0670

პოლიტიკური კონფლიქტები და მათი ტიპოლოგია; (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: პოლიტიკური კონფლიქტების მიზეზები და დონეები; პოლიტიკური კონფლიქტის პოზიტიური და ნეგატიური ფუნქციები; პოლიტიკური კონფლიქტის გადაჭრის გზები და პირობები. პოლიტიკური კონფლიქტების წარმოშობის საშინაო და საგარეო ფაქტორები საქართველოში, ეთნოკონფლიქტები და ლოკალური ომები, სეპარატიზმი, პოლიტიკური კონფლიქტების ერთ-ერთი დამახასიათებელი და პრიორიტეტული ფაქტორები.

კურსის კოდი: SWB0680

გეოპოლიტიკური თეორიები და კონცეფციები. (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: გეოპოლიტიკის თანამედროვე ფორმები და ტექნოლოგიები; გეოპოლიტიკის პრობლემების მართვის ინსტიტუტებისა და ფუნქციონირების თავისებურებანი საქართველოში; საქართველო აზიისა და ევროპის გზაჯვარედინზე. საქართველოს გეოპოლიტიკური პრიორიტეტები; სხვადასხვა სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესები და მიზნები, მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების გეოლოლიტიკური სივრცე და გლობალური პრობლემები.

კურსის კოდი: SWB0690

საერთაშორისო ორგანიზაციები. (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: გაეროს, ნატოს, ეუთო–ს წარმოშობის ისტორია; საერთაშორისო ორგანიზაციების როლი და მნიშვნელობა გლობალიზაციის პროცესში; საქართველო და საერთაშორისო ორგანიზაციები.საერთაშორისო ორგანიზაციების ფორმირების სუბიექტური და ანალიტიკური საშუალებები გლობალურ პოლიტიკაში. საერთაშორისო ორგანიზაციების როლი პოლიტიკური მონიტორინგისა და პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

კურსის კოდი: SWB0700

ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორია. (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ქართული მითოლოგია, როგორც ქართული პოლიტიკური აზრის უძველესი პოლიტიკური ფენომენი; კოლხეთისა და იბერიის სამეფოების პოლიტიკური აზრი; ქართული პოლიტიკური აზროვნება ერთიანი სახელმწიფოს დაშლის პერიოდში; XIX საუკუნის ქართული პოლიტიკური აზროვნება; ქართული პოლიტიკური აზროვნება XX საუკუნეში და თანამედროვე პერიოდში.

კურსის კოდი: SWB0710

პოლიტიკური კულტურა – (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: პოლიტიკური კულტურის თეორიები; პოლიტიკური კულტურის არსი და სტრუქტურა; დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის ფორმირების პარადიგმები საქართველოში.

პოლიტიკური კულტურის ფუნქციები, პოლიტიკური კულტურის ტიპები და პოლიტიკური სუბლკულტურები. პოლიტიკური კულტურის ფორმირების მექანიზმები.ვემბის, პაქსის,ალმონდის, კოგანის მეცნიერული თეორიები, პოლიტიკური კულტურის ტრანსფორმაციისა და გენეზისის პრობლემები.

კურსის კოდი: SWB0720

მედია და პოლიტიკა – (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: მედიის როლი პოლიტიკის სივრცეში; მედია და საერთაშორისო ორგანიზაციები; მედიის როლი კონფლიქტების დარეგულირების საქმეში. მედია და პიარტექნოლოგიები. მედიის როლი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში. მედია პოლიტიკური იმიჯის, პოლიტიკური ლიდერის იმიჯის და საარჩევნო ტექნოლოგიების ფორმირების პროცესში.ჟაკ სეგელა პოლიტიკური რეკლამის ფრანგი ოსტატი.

კურსის კოდი: SWB0730

რეგიონალიზმი და ადგილობრივი თვითმმართველობა. (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურა და ფუნქციები; რეგიონალური პოლიტიკის განვითარების ძირითადი პარადიგმები საქართველოში;არჩევნები და ადგილობრივი თვითმმართველობა. საარჩევნო ტექნოლოგიების თავისებურებანი დემოკრატიულ საზოგადოებაში. საარჩევნო კამპანიის მარკეტინგი და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების როლი მისი წარმართვის პროცესში.

კურსის კოდი: SWB0740

ევროპული ინტეგრაცია. (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: პოლიტიკური სოციალიზაცია; ევრო-ინტეგრაციის მოდელები; საქართველო და ევროინტეგრაცია. საერთაშორისო ორგანიზაციების როლი და ადგილი ევროინტეგრაციის პოლიტიკურ სივრცეში, ნატოს როლი ევროატლანტიკურ ორგანიზაციებში გაერთიანების მსურველი ქვეყნების პოლიტიკური ორიენტაციის პროცესში.

კურსის კოდი: SWB0750

თანამედროვე მსოფლიოს გლობალური პრობლემების პოლიტიკური ასპექტები. (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: გლობალური პოლიტიკის განვითარების არსი და კანონზომიერებანი; პოლიტიკური მოდერნიზაციის ეტაპები და სტრუქტურები; საქართველო გლობალიზაციის სივრცეში. სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შემუშავება და მისი რეალიზაციის მექანიზმები გლობალური პოლიტიკის სივრცეში. სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების შემუშავებისა და რეალიზაციის ტექნოლოგიები.